დანართი 1

დამტკიცებულია

შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის

ხელმძღვანელის 2024 წლის 22.04 N 01/14 ბრძანებით

ცვლილებები განხორციელებულია

დანართი 1

შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის

ხელმძღვანელის 2025 წლის 25.06 N 01/40 ბრძანებით

სსმ და შშმ პირების გადაადგილების და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი

ქ.თბილისი

2025 წელი

სარცევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. ინდივიდუალური გეგმა 3

მუხლი 3. მობილობის დროს სწავლის შედეგების აღიარება 4

მუხლი 4. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლის შედეგების აღიარება 4

მუხლი 5. სწავლის შედეგების დადასტურება გასაუბრებით და გამოცდით 4

მუხლი 6. სწავლის შედეგების დადასტურება და ინდივიდუალური გეგმის შედგენა 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს.

2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს აკადემიის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. აგრეთვე, მობილობის წესით გადმოსული, პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის და ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანილი პროფესიული სტუდენტებისათვის თავსებადი სწავლის შედეგების აღიარებასა და მიღწევის შესაძლებლობებს.

მუხლი 2. ინდივიდუალური გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:

1.1. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

1.2. მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;

1.3. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

2. პირველი პუნქტის 1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს აკადემიის პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, სწავლების განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერს სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების ხელმძღვანელს.

3. პირველი პუნქტის 1.2.. ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერისა და შესაბამისი პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში მარეგულირებელი წესით

გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივ და გავლილი მოდულების აღიარების შესაძლებლობის საკითხს. შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის გადაწყვეტილების საფუძველზე ამზადებს სამსახურებრივ ბარათს მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და აკადემიის ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს საჭირო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების შეძენა.

4. პირველი პუნქტის 1.3. ქვეპუნქტით დამდგარ შემთხვევაში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში), პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რისთვისაც სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისებულ სწავლის შედეგებს და სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი შეიმუშავებს სასწავლო განრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით.

მუხლი 3. მობილობის დროს სწავლის შედეგების აღიარება

1. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს. შესაბამისად, აკადემია უფლებამოსილია ავტომატურად ჩაუთვალოს მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს გავლილი მოდულები/სწავლის შედეგები.

2. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება კრედიტი. ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში კი, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიული სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.

მუხლი 4. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლის შედეგების აღიარება

1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში აკადემია ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

2. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტობის მიზნით ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს მიმდინარე სასწავლო ჯგუფების პროფესიული სტუდენტების გადაყვანას ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მარეგულირებელი წესისთ გათვალისწინებული პირობების დაცვით. ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანის შემთხვევაში

კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში.

მუხლი 5. სწავლის შედეგების დადასტურება გასაუბრებით და გამოცდით

1. აკადემია უფლებამოსილია, აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი კომისიის მიერ ჩატარებული გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს პირის პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების შემოწმება და მათი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა.

მუხლი 6. სწავლის შედეგების დადასტურება და ინდივიდუალური გეგმის შედგენა

2. კომისიის დასკვნის საფუძველზე სწავლების, განვითარების და ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის მენეჯერი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების ჩათვლას მარეგულირებელი წესის შესაბამისად და ინდივიდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს.
3. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრულ უნდა იქნას მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

მუხლი 7. სსსმ პირებისთვის სასწავლო რესურსებზე წვდომისა და ადაპტაციის უზრუნველყოფა

1. აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების დროულად და ადეკვატურად ხელმისაწვდომობას.
2. სასწავლო რესურსების ადაპტაცია ხორციელდება სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებისა და სირთულეების შესაბამისად.
3. პროფესიული სტუდენტის საჭიროების შეფასება და სასწავლო რესურსების ადაპტაციის გეგმის შემუშავება ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფთან კოორდინაციით (პედაგოგი, სპეციალური პედაგოგი, და სხვა შესაბამისი პირები).
4. აკადემია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს:

ა) სასწავლო მასალის ადაპტაცია სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად (მაგალითად, ტექსტი დიდი შრიფტით, აუდიო/ვიდეო ვერსია, მარტივ ენაზე მომზადებული ვერსია, ბრაილის შრიფტი და ა.შ.);

ბ) საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით (მაგ. ეკრანის წამკითხავი პროგრამა, სპეციალური კლავიატურა)

5. პედაგოგები ვალდებული არიან წინასწარ გაეცნონ სსსმ პირის სასწავლო რესურსების გამოყენების სპეციფიკას და მოახდინონ შესაბამისი ადაპტაცია სასწავლო პროცესში.

6. სწავლების პროცესში პერიოდულად ხორციელდება სსსმ სტუდენტის ჩართულობისა და რესურსებთან წვდომის ეფექტიანობის მონიტორინგი.

7. სტუდენტს/მის კანონიერ წარმომადგენელს ეძლევა შესაძლებლობა გამოთქვას უკუკავშირი ადაპტირებულ რესურსებზე. უკუკავშირი აღირიცხება და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეგულაციის დაზუსტება.

8. სპეციალური მასწავლებელი

ა) აფასებს სსსმ სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს სასწავლო რესურსებთან მიმართებაში;

ბ) უზრუნველყოფს შესაბამისი ადაპტირებული სასწავლო მასალების შერჩევას და შემუშავებას, მათ შორის ალტერნატიული ფორმატების (ბრაილის შრიფტი, აუდიო მასალა, მარტივი ენა და სხვა) გამოყენებას;

გ) თანამშრომლობს პედაგოგებთან, ბიბლიოთეკარებთან და IT პერსონალთან სასწავლო რესურსების ადაპტაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

დ) აფასებს ადაპტირებული რესურსების ეფექტურობას და საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს გაუმჯობესების რეკომენდაციებს.

9. **მასწავლებელი (პედაგოგი)** უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხელშეწყობას, საჭიროების შემთხვევაში იყენებს ალტერნატიულ და ადაპტირებულ სასწავლო რესურსებს;

10. **ბიბლიოთეკარი**

ა) უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას სსსმ სტუდენტებისთვის, მათ შორის ალტერნატიული ფორმატების (აუდიო, ბრაილის შრიფტი, მარტივი ენა და ა.შ.) რესურსებით.

ბ) თანამშრომლობს პედაგოგებთან და სპეციალურ პედაგოგთან რესურსების შერჩევასა და ადაპტაციის პროცესში;

11. ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მენეჯერი

ა) თანამშრომლობს სპეციალურ პედაგოგებსა და პედაგოგებთან სასწავლო რესურსების ციფრული ადაპტაციის პროცესში;

ბ) უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას სასწავლო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით (კომპიუტერები, ინტერნეტი, ლოკალური ქსელი);